გამარჯვება გეტებორგში

5 სექტემბერს გეტებორგის სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ითამაშეს აქ სტუმრად მყოფმა თბილისის “დინამომ” და ადგილობრივმა ნაკრებმა. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა. ცოტა ხნის შემდეგ დათუნაშვილის რეიდი გოლით დამთავრდა.

მეორე ტაიმში შვედები კვლავ წინ გავიდნენ, მაგრამ წონასწორობა ისევ აღდგა – 11–მეტრიან საჯარიმოდან ილიადის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა – 2:2. კვლავ უტევდნენ დინამოელები და ერთ–ერთი კომბიანცია იამანიძემ კარის აღებით დააგვირგვინა. გაიმარჯვა “დინამომ” – 3:2.

7 სექტემბერი, 1965 წ.